- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ,,ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) ფინანსური მხარდაჭერით, აცხადებს **სტაჟირების პროგრამას კერძო და არასამთავრობო სექტორში ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის.
- პროგრამის მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესება, სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნადი სამუშაო კომპეტენციების და უნარების განვითარება;
- სტაჟირების პროგრამა საბოლოო დასაქმებას არ ითვალისწინებს. სტაჟირების სავარაუდო ხანგრძლივობა მოიცავს 1-2 თვეს და დამოკიდებულია კანდიდატის და მიმღები კომპანიის შეთანხმებაზე, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან თანამშრომლობით.
- სტაჟირება ითვალისწინებს დასაქმების პერიოდში ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ანაზღაურებას.
- დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე (CV) და სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 1 გვერდი) ქართულ ენაზე შემდეგ ელ-ფოსტაზე: cciir.info@gmail.com
- წინამდებარე დოკუმენტში იხილავთ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში არსებული ვაკანტური პოზიციების მოკლე აღწერასა და მიმღები ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას.
- კონკრეტულ პოზიციაზე ინტერესის გამოხატვის შემთხვევაში მეილის სათაურში (Subject line) უნდა მიეთითოს პოზიციისა და მიმღები ორგანიზაციის დასახელება.
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამოგზავნის შემდეგ, CCIIR-ის გუნდის წევრების მიერ მოხდება სტაჟირების მონაწილეების შერჩევა, რის შემდეგაც დავუკავშირდებით შერჩეულ კანდიდატებს. საბოლოო შერჩევა მოხდება (გასაუბრება კანდიდატთან) სტაჟიორის მიმღები კომპანიის

წარმომადგენლების მიერ, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან თანამშრომლობით.

- გამოცხადებულ **პოზიციებზე განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: 24 თებერვალი, 2021**

ვაკანსიები

ვაკანსია #1 ჟურნალისტ-ანალიტიკოსი (1 ვაკანტური ადგილი) - მედიის განთარების ფონდი (MDF)

ინფორმაცია მიმღები ორგანიზაციის შესახებ: *<u>მედიის განვითარების ფონდი (MDF)</u>, 2008 წლის აპრილში, პროფესიონალ ჟურნალისტთა ჯგუფის მიერ დაფუძნდა. ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებებია: სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ეთიკური ჟურნალისტიკა და ანგარიშვალდებულება; მედია წიგნიერება; ადამიანის უფლებები; მრავალფეროვნება და ინკლუზიური საზოგადოება; გენდერული თანასწორობა; ახალგაზრდული ინიციატივების და სამოქალაქო აქტივიზმის მხარდაჭერა.*

მედიის განვითარების ფონდი, MDF ეწევა კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას; ახორციელებს ადვოკატირებას; ატარებს ტრენინგებს, შეხვედრებს, საჯარო დისკუსიებს, შემოქმედებით კონკურსებს. გამოსცემს სასწავლო და პროფესიულ ლიტერატურას, აწარმოებს მედია პროდუქციას და საგანმანათლებლო კამპანიებს, ასევე ახდენს ახალგაზრდების მობილიზებას სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მიზნით.

2016 წლიდან მედიის განვითარების ფონდი თანამშრომლობს ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციის სამსახურთან თანამშრომლობს. ფაქტების გადამოწმების ვებ-გვერდი <u>"მითების დეტექტორი"</u> კი ატლანტიკური საბჭოს ონლაინ პლატფორმის DisinfoPortal-ის პარტნიორია. 2019 წელს მედიის განვითარების ფონდმა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება შეერთებული შტატების გლობალური მედიის სააგენტოსთან გააფორმა. მედიის განვითარების ფონდის პროდუქტი - მითების დეტექტორი - ასევე, არის პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის წევრი <u>(IFCN).</u>

მედიის განვითარების ფონდი ასევე მართავს მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორიის <u>(MilLab)</u> ონლაინ პლატფორმას, რომელიც დამხმარე სასწავლო

რესურსია, ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და გაცნობიერებული მედია მოხმარების ხელშეწყობის მიზნით.

პოზიციის დასახელება და მოკლე აღწერა: ანალიტიკოსი (1 ვაკანტური ადგილი)

სამუშაოს ადგილმდებარეობა: ქობულეთის ქ. 34/36, პირველი სადარბაზო, მეოთხე სართული, ბინა 5, თბილისი, საქართველო.

სამუშაო გრაფიკი: მოქნილი - ნახევარ-განაკვეთზე (09:30 საათიდან - 18:00 საათამდე მონაკვეთში);

ძირითადი მოვალეობები: მითების დეტექტორისთვის სტატიების მომზადება სხვადასხვა თემატიკაზე;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ინგლისური ენის კარგად ცოდნა

განათლება: საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი

დამატებითი მოთხოვნა: ანალიტიკური საქმიანობის მიმართ მოტივაცია და ინტერესი

ვაკანსია #2 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ოფიცერი

(1 ვაკანტური ადგილი)- ასოციაცია „ტოლერანტი“

ინფორმაცია მიმღები ორგანიზაციის შესახებ: ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული პრინციპების დანერგვას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. არსებობის 20 წლის განმავლობაში განხორციელებული წარმატებული პროექტების ფარგლებში ორგანიზაციის მოწყვლადი ჯგუფები იყო 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთიდან, შშმ პირები, მიგრანტები, ადგილობრივი თემები და სათემო გაერთიანებები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, ახალგაზრდა პრობაციონერები, ყოფილი პატიმარი ქალები და ა.შ „ტოლერანტმა“ წარმატებით განახორციელა და ამჟამადაც ახორციელებს ამ ჯგუფების ადაპტაციისა და ინტეგრაციის, სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, დასაქმების, პროფესიული განათლების, ფსიქო -სოციალურ და სამართლებრივ, მცირე ბიზნესის დაწყებისათვის ხელშემწყობ საქმიანობებს.

პოზიციის დასახელება და მოკლე აღწერა: საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაციის ოფიცერი.

სტაჟიორი ორგანიზაციაში მუშაობის პერიოდში აქტიურად ჩაერთვება ორგანიზაციაში მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების გაშუქებაში (ორგანიზაციის ვებ. გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე) ქართულ და სომხურ ენებზე, პრესრელიზების მომზადებასა და ორგანიზაციის ბენეფიციარებთან კომუნიკაციაში;

სამუშაოს ადგილმდებარეობა: ახალციხე - სათაო ოფისი, მოქმედების არეალი - ახალქალაქი, ნინოწმინდა;

სამუშაო გრაფიკი: სამუშაო გრაფიკი შედგება სტაჟიორთან შეთანხმებით, მისთვის სასურველი და თავისუფალი დროების მიხედვით;

ძირითადი მოვალეობები: სტაჟიორის ხელმძღვანელთან ერთად ბენეფიციარებთან ურთიერთობა, პრესრელიზების მომზადება, საჭიროების შემთხვევაში მომზადებული ტექსტების თარგნა;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ქართული და სომხური ენების სრულყოფილად ცოდნა;

განათლება: ფილოლოგი ან ჟურნალისტი;

დამატებითი მოთხოვნა: სტაჟიორი უნდა იყოს აქტიური, კომუნიკაბელური, პოზიტიური ბენეფიციარებთან ურთიერთობისას და უნდა შეეძლოს გუნდურად მუშაობა ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად.

ვაკანსია #3 ბუღალტრის თანაშემწე (2 ვაკანტური ადგილი) – „ბიზნესინკუბატორი“, ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"

მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ: „ბიზნესინკუბატორი“, ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"-ს *(ამსკ)* და მთავრობის ერთობლივი ინიციატივაა. *ორგანიზაციას გააჩია 2 მთავარი მისია:* 1.კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაცია-მოგვარების ხელშეწყობა, სახალხო დიპლომატიის ფარგლებში; 2. საზოგადოების მოწყვლად ნაწილში უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირება. **„ბიზნესინკუბატორი“-ს და ამსკ-ს მთავარი მიზანია, <u>ხელი შეუწყონ</u>** იმერეთში და სხვა

რეგიონებში საარსებო წყაროების **<u>შექმნის მსურველ</u>**, სათანადო განათლების და უნარების მქონე სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების **დასაქმებას,** უმუშევრობის, სიღარიბის და უთანასწორობის შემცირებას, შიმშილის აღმოფხვრას, ადამიანებისათვის ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას; აქტიურად მონაწილეობენ გარემოს დაბინძურების, კლიმატის ცვლილების და ტყეების განადგურების შეჩერების ღონისძიებებში. ეს სრულ თანხვედრაშია 2030 წლამდე გაეროს მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებთან. მათ მიერ, პარტნიორობით განხორციელებულია 40-ზე მეტი სამშვიდობო და სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების პროექტი. უმეტესი მათგანი კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაციის ხელშემწყობი იყო. ამოცანა იყო და არის აფხაზეთიდან/სამხრეთ ოსეთიდან წამოსულ, სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ, ყოველდღიურად მზარდ მომართვებზე დროული რეაგირება, ავადმყოფებისათვის აუცილებელი კვალიფიციური სამედიცინო სერვისების მიწოდების მხარდაჭერა და ამ გზით *ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ნდობის ამაღლების, მხარეთა დაახლოების, ომის სინდრომისა და "მტრის ხატი"-ს მოშლის, კონფლიქტებით დაყოფილ თემებს შორის ჰუმანიტარული და სოციალურ–ეკონომიკური კავშირების განვითარების ხელშეწყობა.* დაგეგმილია სტაჟირებისთვის გამოიყენებულ იქნეს თანამედროვე სასწავლო-სადემონსტრაციო სათბურები (სმარტაეროპონიქსები) და კლიმატის ცვლილებების შემაკავებელი, გარემოდაცვითი, აგრარული ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ეფექტურად მოქმედი ეკოტექნიკა. "ბიზნესინკუბატორი"-ს სტრატეგიული ამოცანაა, *ყოველწლიურად* მოამზადოს არანაკლებ 100, 3-6თვიანი სტაჟირებაგავლილი საკუთარი საარსებო წყაროს სტარტაპშექმნილი ახალგაზრდა, მათი მეშვეობით კი *დაასაქმოს* სამუშაოს მაძიებელი.უახლოეს პერსპექტივაში „ბიზნესინკუბატორი“ უნდა კი იქცეს ქუთაისში დუალური სწავლებისთვის მიმზიდველ ბაზად. "ბიზნესინკუბატორი" და ამსკ თავიანთ ბენეფიციარებზე მდგრადი საარსებო წყაროების შექმნამდე ზრუნავს.

სამიზნე ჯგუფებია:

- საარსებო წყაროების შექმნით დაინტერესებული შრომისუნარიანი ახალგაზრდები, სტუდენტები, მაგისტრანტები, გოგონები, ქალები, უპირატესად, მოწყვლადი ოჯახებიდან , მ.შ. დევნილები(IDP) და მიგრანტები;
- სათანადო რესურსების მქონე სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები, სპეციალისტები, მოტივირებული ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ და შეუძლიათ ხელი შეუწყონ ორგანიზაციის განვითარებას, ასევე, ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ საქმიან პარტნიორობას,

მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას და განვითარებას, საშუალო ფენის შექმნა/ გაძლიერებას.

პოზიციის დასახელება და მოკლე აღწერა: ბუღალტრის თანაშემწე / 2 სტაჟიორი /

სტაჟიორი ორგანიზაციაში მუშაობისას მონაწილეობას მიიღებს საბუღალტრო საქმის წარმოებაში, გაეცნობა საბუღალტრო პროგრამაში მუშაობის სპეციფიკასა და საგადასახადო კოდექსს. მონაწილეობას მიიღებს ანგარიშგებისა და ბალანსის შედგენაში.

სამუშაოს ადგილმდებარეობა: ქ.ქუთაისი გუგუნავას 1

სამუშაო გრაფიკი: კვირაში 2 სამუშაო დღე, სტაჟიორთან შეთანხმებით, მისთვის სასურველი და თავისუფალი დროების მიხედვით.

ძირითადი მოვალეობები: ხელმძღვანელის დავალებების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; ორგანიზებულობა და მაღალი მოტივაცია.

განათლება: ფინანსების ან საბუღალტრო აღრიცხვების მიმართულებით.

ვაკანსია #4. საქმისმწარმოებელი (2 ვაკანტური ადგილი)-„ბიზნესინკუბატორი“, ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"

ინფორმაცია მიმღები ორგანიზაციის შესახებ: „ბიზნესინკუბატორი“, ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია" (ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ ვრცლად იხილეთ ზემოთ.)

<u>პოზიციის დასახელება და მოკლე</u> *აღწერა: სტაჟიორი საოფისე საქმისწარმოების კუთხით (2 ვაკანტური ადგილი) და ისინი* სტაჟირების პერიოდში აქტიურად ჩაერთვებიან ორგანიზაციის საქმიანობაში .

<u>სამუშაოს ადგილმდებარეობა:</u> ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ.#1

<u>სამუშაო გრაფიკი:</u> სამუშაო გრაფიკი იქნება სტაჟიორთან შეთანხმებით, მისთვის სასურველი გრაფიკის მიხედვით.

ძირითადი მოვალეობები: საოფისე საქმიანობები, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა , დოკუმენტაციის მომზადების საკითხებში თანამშრომლობა დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებთან. დოკუმენტების მომზადების ვადებისა და გაფორმების წესის დაცვის კონტროლი.

<u>საკვალიფიკაციო მოთხოვნები:</u> ქართული ენის კარგად ცოდნა; სასურველია რუსული და ინგლისური ენების სასაუბრო დონეზე ცოდნა.

<u>განათლება:</u> უმაღლესი განათლება , ან შეიძლება იყოს სტუდენტი.

<u>დამატებითი მოთხოვნა:</u> სტაჟიორი უნდა იყოს კომუნიკაბელური, აქტიური, პოზიტიური და შეეძლოს გუნდურად მუშაობა ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად.

ვაკანსია #5. ტუროპერატორი, ტურაგენტი (3 ვაკანტური ადგილი)- ტურისტული კომპანია შპს. „ოლ ინ ჯორჯია“.

მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ: შპს ტურისტული კომპანია ,,ოლ ინ ჯორჯია'' მჭიდროდ თანამშრომლობს ასოციაცია „მშვიდობიან და საქმიან კავკასია“–სთან (ამსკ) და „ბიზნესინკუბატორ“–თან. შპს ტურისტული კომპანია ,,ოლ ინ ჯორჯია'' ორიენტირებულია, რომ ტურიზმის სპეციალობის დამამთვარებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები დაეუფლონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კომპანიაში ვაწარმოებთ ტურისტული ბაზრის კვლევას, ტურისტული პროდუქტის (ტურების) პროექტირებას, ფორმირებას. კვლევები ადასტურებს, რომ ტურისტული ბაზარი ამ ეტაპზე ითხოვს გიდ-ეკსკურსია-მძღოლებს, სასტუმრო საქმის სპეციალისტებს და სერვისის მიმწოდებლებს, მათ მომზადებაში ჩართულნი არიან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

ტურისტული კომპანია მონაწილეობს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ქუთაისისა და იმერეთის ტურიზმის ცენტრის დაგეგმილ ღონისძიებებში , როგორიცაა: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, ეროვნულ კონფერენციებში. სატელევიზიო გადაცემებსა და სხვა ღონისძიებებში. ჩვენს მიერ პროექტირებულია რომანტიკული ტური ქუთაისში, სამეფო ტური და სხვა.

პოზიციის დასახელება და მოკლე აღწერა:
შპს ტურისტული კომპანია „ოლ ინ ჯორჯია“ შესძლებს 3 სტაჟიორის მიღებას შემდეგ პოზიციებზე: ტუროპერატორი, ტურაგენტი. აღნიშნულ პოზიციებზე ახალგაზრდები

დაეუფლებიან პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს, ისწავლიან ტურისტული პროდუქტის (ტურების) პროექტირებას, ფორმირებას. აგრეთვე მათი ცნობიერება ამაღლდება ტურისტული ბაზრის კვლევის საკითხებში.

სამუშაოს ადგილმდებარეობა:

ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №1

სამუშაო გრაფიკი:

არანორმირებული (სტაჟიორთან შეთანხმებით დაზუსტდება თაიმლაინი), დრო გადანაწილდება ოპტიმალურად.

ძირითადი მოვალეობები:

კონკურენტუნარიანი/ინოვაციური ტურისტული პროდუქტების ფორმირება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტურისტების მოსაზიდად. აგრეთვე მათთან ხელშეკრულებების გაფორმება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

აუცილებელია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა სასაუბრო დონეზე მაინც.

განათლება:

სასურველია უმაღლესი/ არასრული უმაღლესი განათლება ტურიზმის სპეციალობით.

დამატებითი მოთხოვნა:

სტაჟიორი უნდა იყოს მიზანდასახული, უნდა შეეძლოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. აგრეთვე უნდა იყოს კრიტიკული და შედეგზე ორიენტირებული.